# საქართველო
# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 11 დეკემბერი 2013 წელი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №389

### უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად:

***ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ***

**მუხლი 1.** „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს’’ 2013 წლის 21 ნოემბრის №5/36180 წერილის საფუძველზე, ქ. ოზურგეთში შემოქმედელის ქუჩაზე მდებარე 350 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

**მუხლი 2.** სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურისტს გიორგი ხუროშვილს (პირ.№33001054782).

**მუხლი 3.** ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ავთანდილ სურგულაძე**

Created by free version of DocuFreezer